

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ნონა მიქავა

თანამდებობის დასახელება- საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხის პატრიოტები“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის(კომისიების) დასახელება-

1.საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია

ფრაქციის დასახელება _ „წალენჯიხის პატრიოტები“
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარული (68.14 ჯგალის მაჟორიტარული ოლქი).

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 01 ნოემბრიდან 2020 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი.

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 21
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 12
კომისიის სხდომებზე დასწრება -12

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 8
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -8

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ;

-კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.;

-„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-2021 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;
- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

-

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 11 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 110

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:
 შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია ლეჩანგელიეს უბანში, მეწყერსაშიშ ზონაში მოქცეული ოჯახების პრობლემების მოგვარება, სოფლის სხვადასხვა უბნებში ხიდ-ბოგირების მოწყობა, ლეხარჩილეს უბანში ელ.განათების მოწყობა, გაზიფიცირება, სოციალური პრობლემები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები

- N1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზისა და ფოიეს რეაბილიტაცია;
- სასაფლამდე მისასვლელი გზაზე რკინაბეტონის საფარის მოწყობა;
- მდ.ჭანისწყალზე დაკიდული ხიდის რეაბილიტაცია;
- გურამ კვარაცხელიას სახლთან დამცავი რკინა-ბეტონის კედლის მოწყობა 28 გ/მ-ზე;

-დასრულდა ჯგალის N1 საბავშვო ბაღის მშენებლობა.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
აქტიურად ვარ ჩართული როგორც ფრაქციის, ასევე საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და
საპროცედურო საკითხთა კომისიის მუშაობაში.

შევსების თარიღი - 25.10.2020 წ.

წარდგენის თარიღი _25.10.2020 წ.

ხელმოწერა - *ნ. ბიჯაძე*